

ნიკა დუდაშვილი

კონსტიტუციის დემოკრატიული გაძლიერების ნიშნით ყოველ თაობას უნდა მიეცეს საშუალება ცვლილება შეიტანოს მასში, რადგან შემკვიდრეობით მიღებული ეს ტექსტი მათი მონაწილეობით არ შექმნილა, ხოლო წინამორბედ თაობებს არ ჰქონდათ უფლება განესაზღვრათ, როგორ უნდა იცხოვრონ მომავალმა თაობებმა.

თომას ჯეფერსონი

კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის ბუნება

საქართველოს კონსტიტუციისა და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად კონსტიტუციური კანონი საქართველოში მიიღება სამ შემთხვევაში:

- საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას.¹
- ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსის განსაზღვრისას.
- საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისას.

კონსტიტუციაში ცვლილება დამატებების შეტანა, საქართველოს კონსტიტუციაში ხდება კონსტიტუციური კანონის მიღებით.

კონსტიტუციის გადასინჯვა, როგორც წესი, ხორციელდება:

- კონსტიტუციის ნაწილი ან სრული გადასინჯვით.
- ცვლილებებისა და დამატებების ფორმით.
- შესწორებების, გაუქმებისა და შემოკლების ფორმით.²

როდესაც კონსტიტუციის გადასინჯვის თემას ვეხებით ყოველთვის ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ კონსტიტუციის სრული და ნაწილობრივი შეცვლა. პირველი გულისხმობს ახალი კონსტიტუციის მიღებას, ხოლო მეორე მისი რომელიმე

¹ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

² კონსტიტუციური სამართალი; ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე; 2008; გვ45-56;

თავის, მუხლის ან პუნქტის კორექტირებას, შეცვლასა და დახვეწას, ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით.

თანამედროვე სახელმწიფოების კონსტიტუციებს გადასინჯვის პროცედურის თვალსაზრისით იურიდიულ დოქტრინაში ყოფენ ორ ჯგუფად: მოქნილ და მყარ კონსტიტუციებად. მათ შორის ის განსხვავებაა, თუ როგორ დაბრკოლებას აწყდება ცვლილება დამატება კონსტიტუციის ტექსტში მოსახვედრად. მოქნილ კონსტიტუციაში ცვლილება დამატებები შედის მარტივად, რამდენი ხმაც ჩვეულებრივი კანონის მიღებას ესაჭიროება წარმომადგენლობითი ორგანოს მხრიდან იმდენივე ესაჭიროება მოქნილ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას. ყველაზე მარტივად კი დაუწერელ კონსტიტუციებს ასახელებენ, სადაც ცვლილებების შეტანა გამარტივებულია.

კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის ინიციატორები შეიძლება იყვნენ :

- კონსტიტუციური სამართლის პირველადი სუბიექტი - ხალხი (200 000) ამომრჩეველს.
- საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. არანაკლებ 76 დეპუტატი.
- საქართველოს პრეზიდენტი.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ საქართველოს კონსტიტუციაში კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის თავს შეეხო ცვლილებები და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ:

- პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;
- არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.

კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება ჩამოერთვა საქართველოს პრეზიდენტს.

კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლებოდა, თუ მას მხარს დაუჭერდა საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. მაგრამ ცვლილებების შემდგომ კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას საქართველოს პარლამენტის ორ

თანამიმდევრულ სესიაზე სულ ცოტა სამი თვის ინტერვალით მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი. აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას უზრუნველყოფს პარლამენტი, რომლის მხრიდანაც ესაჭიროება ცვლილებებს მხარდაჭერა, მაგრამ აქაც არის პატარა დაბრკოლება, თუ როგორია საკანონმდებლო ორგანო - უნიკამერალური თუ ბიკამერალური, უნიკამერალური პარლამენტის არსებობის დროს უფრო მარტივია ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში, მაგრამ ბიკამერალურის დროს ცვლილება დამატებებს ორივე პარლამენტის მხრიდან ესაჭიროება სრული მხარდაჭერა, მაგრამ არსებობს შემთხვევებიც, როცა ბიკამერალური პარლამენტი ერთიანდება და როგორც ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანო ისე განიხილავს კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხს, ეს განპირობებულია იმ მიზეზის გამო რომ დროში არ გაიწელოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა და უფრო მარტივად შევიდეს ცვლილება დამატებები კონსტიტუციაში.

სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციების მიხედვით სხვადასხვანაირად განისაზღვრება კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის სუბიექტები, ზოგიერთ შემთხვევაში კი ქვეყნის კონსტიტუციაში კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხს სპეციალური ცალკე თავი არ აქვს დათმობილი, მაგალითად ფინეთი.

ბელარუსიაში კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის სუბიექტები არიან : პრეზიდენტს და 150 000 ამომრჩეველს. ლიტვაში მხოლოდ სეიმის წევრთა ჯგუფს, არანაკლებ სეიმის წევრთა საერთო რაოდენობის 1/4-ისა ან არანაკლებ 300 000 ამომრჩეველს აქვს.

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციებშია დაფიქსირებულია ის, თუ რაზე არ შეიძლება კონსტიტუციური გადასინჯვის - დამატების ან შესწორების განხორციელება მაგალითად საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით კონსტიტუციის გადასინჯვის საგნად არ შეიძლება გახდეს საქართველოს დემოკრატიული საქართველოს მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება.

აზერბაიჯანის კონსტიტუციის მიხედვით დაუშვებელია ხელისუფლების წყაროსა და სახალხო სუვერენიტეტის განმსაზღვრელ ნორმებში ცვლილებების შეტანა, ასევე ხელისუფლების უზურპაციის აკრძალვა(მე-6 მუხლში), აზერბაიჯანის სახელმწიფო

(მე-7 მუხლში), აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი (მე-8 მუხლში), და აზერბაიჯანის სახელმწიფო ენა (21-ე მუხლში) ცვლილებების შეტანა.³

საფრანგეთის კონსტიტუციის მიხედვით არ შეიძლება გადასინჯვის საკითხის დასმა მმართველობის რესპუბლიკურ ფორმასთან დაკავშირებით.⁴

ლუქსემბურგის კონსტიტუციის მიხედვით დაუვებელია კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა რეგენტობის პერიოდში - დიდი ჰერცოგის კონსტიტუციურ პროტოგატივებთან დატახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით.

საბერძნეთის კონსტიტუციის მიხედვით კონსტიტუციის გადასინჯვა დაუშვებელია შეეხოს იმ მუხლებს, რომლებიც შეეხება მმართველობის ფორმას, რომლითაც განსაზღვრულია საპარლამენტო რესპუბლიკა, ასევე ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს.

არსებობს ისეთი სახელმწიფოს კონსტიტუციები, რომლებშიც მითითებულია ის გარემოება, რომ კონსტიტუციაში გარკვეულ საკითხებთან მიმართებით ვერ შევა ცვლილება თუ მას რეფერენდუმზე ხალხი არ მისცემს დასტურს;

ბელარუსიის კონსტიტუციის მიხედვით კონსტიტუციის 1, მე-2, მე-4 და მე-8 ნაწილები, რომლებიც ეხება კონსტიტუციური წყობის საუძვლებს, პიროვნებას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს, პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას, სასამართლოს, კონსტიტუციის გადასინჯვის წესს, შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ რეფერენდუმის გზით.⁵

ლიტვის კონსტიტუციის მიხედვით კონსტიტუციის 1 მუხლის დებულება - „ლიტვის სახელმწიფო არის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა“ შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ რეფერენდუმის გზით, ასევე ის მუხლები, რომლების კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურას ეხება მათი შეცვლაც მხოლოდ რეფერენდუმის გზითაა შესაძლებელი.⁶

კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხი 1921 წლის კონსტიტუციაში

1921 წლის კონსტუციაც თავის მხრივ ითვალისწინებდა კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურას და ნორმები გადასინჯვის საკითხთან მიმართებით გაწერილი იყო, თავდ კონსტიტუციაში კერძოდ მე-17 თავში. კონსტიტუცია

³ აზერბაიჯანის კონსტიტუცია; საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები მე-2 ნაწილი; რედ, ვ.გონაშვილი; 2008; გვ195;

⁴ საფრანგეთის კონსტიტუცია; 89-ე მუხლი;

⁵ ბელარუსიის კონსტიტუცია; საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები მე-2 ნაწილი; რედ, ვ.გონაშვილი; 2008; გვ268

⁶ ლიტვის კონსტიტუცია; საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები მე-2 ნაწილი; რედ, ვ.გონაშვილი; 2008; გვ328

მოიაზრებდა გადასინჯვის ინიციატორთა ორ სუბიექტს - პარლამენტის წევრთა ნახევარს და 50 000 ათას ამომრჩეველს. თუ დღის წესრიგში დადგებოდა კონსტიტუციის ნაწილობრივი ან სრული გადასინჯვა, პარლამენტი ვალდებული იყო განეხილა ეს საკითხი არაუმეტეს ექვს თვეში და ეს კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლებოდა თუ მას მხარს დაუჭერდა პარლამენტის ორი-მესამედის უმრავლესობა. ამ რთული პროცედურების შემდგომ კი კანონპროექტის ძალაში შესასვლევად საჭირო იყო, ხალხის მიერ უმრავლესობით დადასტურება.

ქვეყანაში კონსტიტუციის გადასინჯვის საჭიროება შეიძლება განპირობებული იყოს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ძვრებით, პოლიტიკურ ძალათა თანაფარდობის ცვლილებით ან მმართველი პოლიტიკური ძალის ან ქარიზმატული ლიდერის ამბიციით⁷ და ასევე ყველაზე ყველაზე ხშირად კონსტიტუციაში ცვლილებები შედის, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების დროს, რომელიც კონსტიტუციის დახვეწას და ახალი ნოვაციების დამატებას მოითხოვს.

დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციაში უახლოს პერიოდში შევიდა რამოდენიმე ცვლილება-დამატება, რომლებმაც გამოიწვია გარკვეული გაურკვეველობა და მოსახლეობის ნაწილი დადებითად ნაწილი კი უარყოფითად შეხვდა აღნიშნულ ცვლილებებს. 2012 წლის 22 მაისს კონსტიტუციას დაემატა 104(4)-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც 2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად შესაბამისი ასაკიდან აქვთ პირებს, რომლებიც დაბადებული არიან და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და ამ ცვლილების ამოქმედების მომენტისთვის აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

კონსტიტუციონალისტთა აზრიც ორად გაიყო ნაწილი ემხრობა კონსტიტუციაში ცვლილება დამატებების შეტანას როცა ქვეყანაში ამის საჭიროება დგას, ნაწილი კი უარყოფითად თვლის კონსტიტუციაში ხშირ ცვლილებების შეტანას.

კონსტიტუცია არის ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის საწყისი პუნქტიც და ბოლო, გადამწყვეტი საბუთიც,⁸ რომელიც არ არეგულირებს ვიწრო ჭრილში ერთეულ საკითხებს, შესაბამისად ის ხშირ შემთხვევებში იშვითად უნდა იცვლებოდეს, უნდა გავითვალისწინოთ კონსტიტუციის ღირებულება და მნიშვნელობა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ კონსტიტუცია დინამიურად ცვალებადი აქტია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიკურად და პოლიტიკურად ვითარდებიან და

⁷ კონსტიტუციური სამართალი; ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე; 2008; გვ45

⁸ ანდრეაშ შაიო; ხელისუფლების თვითშეზღუდვა; 2003; გვ49

ძლიერდებიან, ყველა ამ შემთხვევაში ჩემი აზრით, კონსტიტუცია უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეალობას და აქედან გამომდინარე ბოლო დროინდელი ცვლილებები კერძოდ ზემოხსენებული მუხლი ამართლებს და საქართველოს კონსტიტუციაში სიახლეს, ნოვაციას წარმოადგენს, როგორ წმინდა ტექნიკურ საკითხადაც გინდა გვეჩვენებოდეს კონსტიტუციის შესწორება, ეს არის თვით დოკუმენტის და კონსტიტუციონალიზმის არსებითი ელემენტი.⁹

გამოყენებული ლიტერატურა

კონსტიტუციური სამართალი; ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე; 2008;
საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები; რედ. ვ.გონაშვილი;
ანდრას შაიო; ხელისუფლების თვითშეზღუდვა;
საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი; ოთარ მელქაძე

⁹ იქვე